



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N110**

23 აპრილი 2019 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილების პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქ-მშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

მუხლი 2

„ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილებით დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (www.matsne.gov.ge, 27.06.2014წ., 330090020.35.160.016209) - „კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა“ შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (თან ერთვის საინფორმაციო მასალა).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი